საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 38 სექტემბერი 19 1899 წ. № 38

შინაარსი: ქართლი ნ. ჟორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბები.—„კვალის“ კორესპონდენციები.—საზღვარ გარეთ.—*** ლექსი დ. თომაშვილისა.—ხალხის გულის მესაიდუმლე (შემდეგი) ივ. გომართელისა.—„ოღონდაც“ პატარა ამბავი (დასასრული) ია. ეკალაძისა. და შეცდომის გასწორება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

ქართლი.

IV.

ჩვენ ზევით ვთქვით, რომ უმთავრესი მიზეზი ქართლის დასუსტების და უკან ჩამორჩენისა მდგომარეობს მისი მიწა-ადგილების განაწილებაში. და მართლაც, არსად, ჩვენი ქვეყნის არც ერთ კუთხეში, მამულები ისე უსწორ-მასწოროთ არ არის განაწილებული, როგორც აქ. ერთი მხრით თქვენ ხედავთ დიდ-ვეებერთელა საკუთრებას, მეორე მხრით პატარას, პაწაწკინტელასაც კი აღარა. მაგ. გორის მაზრაში არის 6 მამული, რომელიც 167 ათასზე მეტ დესიატინას შეიცავს, ამათში მხოლოთ ერთი მამული წარმოადგენს 69 ათას დესიატინას, და ამავე დროს იქავე, გვერდით ასს და ათასს ერთი არშინი საკუთრებაც კი ენატრება. და განა ეს არის თანამედროვე მიწათ მფლობელობა? სრულიადაც არა, პირიქით, ეს უფრო წააგავს ძველ რომაულ მიწათმფლობელობას (ლატიფუნდია), რომელმაც დასცა რომის იმპერია, და რომლის ნაშთი სულს უხუთავს დღეს სამხრეთ იტალიას და სიცილიას...

აქედან ცხადია, რომ ქართლის წინ წაწევა მჭიდროთ შეკავშირებულია საკუთრების ცვლილებასთან; რაც უფრო დაპატარავდება დიდი მამული და მიიღებს თანამედროვე სახეს, მით უფრო განთავისუფლდება სოფლელი ბატონისაგან და დამოუკიდებელი გაჰხდება. და ეს განთავისუფლება სასარგებლოა, როგორც გლეხისათვის, ისე ბატონისათვის. ბატონს, მიუხედავათ მისი მამულის სიდიდისა, ცხოვრება მაინც უჭირს, ის ახალ-ახალ მოთხოვნილებებს თავს ვერ ართმევს და იძულებულია გლეხებისაგან რაც კანონიერათ არ ერგება, უკანონოთ აიღოს. წარმოიდგინეთ თქვენ, მემამულე, რომელსაც ათასზე მეტი დესიატინა მიწა აქვს, ხოლო უფულობაში და გაჭირებაში მუდამ არის. და მერე რატომ? იმიტომ რომ მისი ფეოდალური საკუთრება აღარ შეესაბამა დღევანდელ ცხოვრების მოთხოვნილებას, მისი ძველებური მიწის მუშაობა აღარ ეთანხმება დღევანდელ ბაზრის მდგომარეობას. ეს ხომ დღესავით ნათელია, რომ მან უნდა აწარმოვოს ბაზარზე გასაყიდათ. მისი პირდაპირი მიზანია ფული, მეტი ფული, ყველა დანარჩენი საშუალებაა. მეტი ფულის მიღება კი სრუ-

ლებით არ არის დამოკიდებული მამულის სივრცეზე; მეტი მამული კიდევ არ ნიშნავს მეტ ფულს. მაშასადამე მამულის სიდიდე უეჭველათ დიდ სივრცეს არ მოასწავებს. შეიძლება დიდი მამული პატარა იყოს, თუ კი მას ცუდათ ამუშავებენ და პატარა მამული დიდი იყოს თუ კი მას სარგებლიანათ უვლიან. ასე რომ აქ შემუშავებას, კულტურას უჭირავს პირველი ადგილი და არა საკუთრებას. ხოლო შემუშავება პატარა მამულის ყოველთვის უფრო ადვილია ვინემ დიდის. ფართო საკუთრება პირიქით, კიდევაც აბრკოლებს წესიერ მეურნეობას და მით აბრკოლებს მეტი ფულის მიღებას. და აი ეს როგორ: ფართო მამულს თვითონ პატრონი ვერ უვლის, ვერ ამუშავებს. მუშების დაქირავება, მანქანების შეძენა, პირუტყვების გაჩენა და მით მთელი თავის საკუთრების დამუშავება ეს ერთობ დიდ თანხას მოითხოვს და ეს თანხა კი სწორეთ არ მოეპოვება ჩვენ მემამულეს. ამიტომ ის იძულებულია, მიწები ნაჭრებათ დაჭრას და გლეხებს მისცეს სალალოთ, ხოლო გლეხი აქ რასაც უნდა იმას დათესავს, როგორც უნდა ისე მოხნავს. შეიძლება ბაზარზე მეტი ფასი აქვს ხილს, ვინემ პურს; გლეხი კი მაინც პურს თესავს, რადგანაც ასე თესავდენ მისი წინაპარნი და ამანაც ეს ხელობა იცის. შეიძლება ბაზარი მეტ სიმინდს თხოულობს და ნაკლებ ქერს, გლეხი კი ამას არ უყურებს და თავის საქმეს აკეთებს ისე, როგორც უკეთებია. ერთი სიტყვით წვრილი მწარმოებელი, ბუნებრივათ, დაშორებულია საალებ-მიცემო ცენტრებისაგან, იმან იქაური გარემოება არ იცის და რომ ეს, სხვების საშუალებით, გაიგოს თავისი ერთხელ შეთვისებული წესის შეცვლა და ახალის შეთვისება არ ეხერხება. მაშასადამე წვრილი მეურნე იფუჭებს თავის საქმეს და თანაც აფუჭებს მემამულის საქმესაც. ეს ასე იქნება მანამდის, სანამდის მეურნეობა უვიცი გლეხის ამარათ იქნება მიშვებული. მართალია, დღეს გლეხიც ბაზრისათვის აწარმოებს, მარა აწარმოებს ისე, ალალბედზე; თუ კარგ ფასში გაჰყიდა ხომ კარგი, თუ არა და თავს ინუგეშებს ცუდი წელიწადი დაგვიდგაო, მორჩა და გათავდა. ხოლო მეურნემ რომ შეგნებულათ და რაციონალურათ აწარმოვოს თავის საქმე საჭიროა: პირველათ, განათლება, ცოდნა ეკონომიური მდგომარეობის საზოგადოთ, და ბაზრის მდგომარეობის კერძოთ; მეორეთ, სამეურნეო ცოდნა; მესამეთ, ფული და მეოთხეთ მამული, არც ძალიან პატარა და არც ძალიან დიდი. და აი, არც ერთი ეს მემამულეს არ ექნება, სანამ ის იძულებული იქნება თვითონ მხოლოთ ლალის ამკრეფი იყოს თავის მამულში და მეტი არაფერი ე. ი. სანამ მას დიდი, ფეოდალური საკუთრება ექნება...

ეს ჭეშმარიტება ქართლის მებატონეს ჯერ შეგნებული არ აქვს, და ეს არა მარტო ძველებს, არამედ ბევრ ახლებსაც. ზოგი ეგრეთ წოდებული „თანამედროვე“ მებატონე თავის უზარმაზარ მამულს კიდევ უფრო უმატებს ახალ-ახალ ადგილებს და აფართოვებს. ის ერთთავათ იმაზე ფიქრობს, სად, ვისგან იაფათ შევიძინო ადგილებიო. მისი „თანამედროვეობა“ მდგომარეობს მხოლოთ მოდურათ ჩაცმა-დახურვაში და მოთხოვნილებების გამრავლებაში. ხოლო მამულის თანამედროულათ დამუშავებისა არა გაეგება რა. მარა, ამ ახალთა შორის არის მეორე ჯგუფიც, რომელიც სწორეთ ისე ფიქრობს, როგორც ჩვენ, მხოლოთ მის განხორციელებას ვერ ახერხებს და ვერ ახერხებს განსაკუთრებით იმიტომ, რომ მამულის დაპატარავება ეთაკილება, სირცხვილათ მიაჩნია და ისე კი რაციონალური მეურნეობა არ ხერხდება. ამისათვის მათი ფიქრი მხოლოთ მოდური ფიქრათ რჩება და საქმე კი ფეოდალურ საქმეთ. მე ერთათ ერთი მემამულე ვნახე, რომელიც შემდგარა ამ გზაზე და ერთი ბიჯი კიდევაც გადაუდგამს. ეს არის თ. ლ. ციციშვილი. მას თავის მამულის ერთი ნაწილი გლეხებისათვის მიუყიდია და აქედან აღებული ფულით მეცადინეობს მამულის დანარჩენი ნაწილი გააუმჯობესოს.—მხოლოთ პატარა მამულის მოვლა შეიძლება ისე, როგორც წესი და რიგია მითხრა მან. შეიძლება ეს პლანი მან ბოლომდის ვერ შეასრულოს, შეიძლება შუა გზაზე გაჩერდეს, მარა გზა კი უეჭველათ აქეთ არის და ქართლის მებატონეებიც ერთხელ მაინც იძულებული იქნებიან მას გაჰყვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი გაკოტრება და გლეხების კიდევ უფრო დაცემა აუცილებელია.

ფეოდალური მიწათ მფლობელობის დაპატარავებით საშუალება ეძლევა გლეხს იყიდოს მემამულისაგან თითო-ოროლა ნაჭერი მიწა და მკვიდრი მესაკუთრე გახდეს. გლეხის ასეთი გამამულიანება ათავისუფლებს მას ბატონის დამოკიდებულებისაგან და სპობს მათ შორის პირად ბატონ-ყმურ ურთიერთობას. გლეხს შეეძლება იცხოვროს უბატონოთაც და ეს გარმოება მასში აღმოფხვრის მონურ გრძნობებს და ადამიანს ადამიანათ აქცევს. გარდა ამისა, მებატონე რაც უფრო დააწვება მიწის რთულ შემუშავებას, დაემყარება თავის ფულს და ცოდნას, მით უფრო ის მოცილდება გლეხს, გლეხის ნაამაგარს და თვითონ შეიქნება თავის მოთხოვნილების პირდაპირი დამაკმაყოფილებელი. ის სოფლის სარჩენათ აღარ იქნება და სოფელიც თავიდან გადაიძრობს მის მძიმე უღელს, სულ თუ არა რამდენიმეთ მაინც. მაშინ ის სოფელს კიდევაც წინ წასწევს და სხვა და სხვა კულტურას გაავრცელებს, მოიტანს მანქანებს, გაიყვანს

გზებს, დაიქირავებს მუშებს, კავშირს დაიჭერს ქალაქებთან, ბაზრებთან — ერთი სიტყვით ნამდვილ მეურნეთ, ნამდვილ აგრარიელათ იქცევა. და ეს მთელი ახალი ხანაა ერის ცხოვრებაში...

ამ ნაირათ, ქართლის დღევანდელი მდგომარეობის შესაცვლელათ საჭიროა ბატონმა თვითონ შეიმუშაოს თავის მამული და მით გლეხებისაგან დამოუკიდებელი იყოს. ხოლო ეს შეიძლება მაშინ, როცა ის თავის დიდ მამულის ერთ ნაწილს თავიდან მოიშორებს, გლეხებს მიჰყიდის, და აქედან აღებული ფულით მეორე ნაწილის გაუმჯობესობას მოახმარებს. ხოლო ყველა ეს მოასწავებს გაფანტული, ექსტენსიური მეურნეობის გაუქმებას და რთულის, ინტენსიური მეურნეობის შემოღებას.

მარა მეურნეობის ასეთი ცვლილებისათვის არა კმარა უბრალო სურვილი და ნატვრა. ამისათვის საჭიროა რამდენიმე ისტორიული პირობები, რომელთა გაჩენა ჩვენ სურვილებს არ ემორჩილება. მაგ. თუ კი ქვეყანაში სამეურნეო ნაწარმოების ფართო ბაზარი არ არის, რაც უნდა მოინდომო ინტენსიურ კულტურას ვერ შემოიღებ და რომც შემოიღო უეჭველათ გაკოტრდები. თუ კი ტეხნიკური ცოდნა იმდენათ გავრცელებული არ არის, რომ გაფუჭებული მანქანის ადგილობრივათ შეკეთება შეიძლებოდეს, რაც უნდა დიდი სურვილი გქონდეს, მანქანების ხმარებას ვერ შემოიღებ და რომც შემოიღო უეჭველათ წააგებ. ქართლის ერთმა მემამულემ შემომჩივლა: სალეწი მანქანა გამიცვდა, და გამკეთებელი სიახლოვეს ვერავინ ვიშოვე და ამ ლეწვის დროს ის ისე მიგდიაო. ცხადია, ყველა ეს და სხვა ასეთი პირობები ჩვენში ჯერ სავსებით არ განვითარებულან და ამიტომაც ძველი მეურნეობის მოშლა ასე ძნელია. სამაგიეროთ არის კიდევ მეორე გზა, რომელიც იმავე მიზნისაკენ მიგვიყვანს. ეს გზა გახლავს—სამეურნეო ნაწარმოების ადგილობრივათ გადამუშავება და დამუშავებული საქონლის ბაზარზე გამოტანა. მაგ. გახსნა სპირტის ზაოდის, რისთვისაც პური, სიმინდი და კარტოფილი იქნება საჭირო, შაქრის ზავოდის, რისთვისაც ჭარხალია საჭირო და სხ. ერთი სიტყვით, მიწის ის ნაყოფი, რომელსაც კაი ფასი არა აქვს ბაზარზე, გადამუშავებული უნდა იქმნას და ბაზარზე სხვა სახით გამოტანილი. ამ შემთხვევაში, გავრცელდება იმ ნაყოფის მოყვანა, რომელიც ზაოდისათვის იქნება მოსახმარი და ასე ნელ-ნელა, ზავოდის მოთხოვნილებასთან ერთად, გაიზრდება ამ ნაწარმოების მოთხოვნილებაც. და ეს კი ძალას დაატანს მემამულეს თავისი მიწები ინტენსიურათ შეამუშაოს და დააპატარაოს. ე. ი. მოახდინოს ის ცვლილება, რაც ზევით მოვიხსენიეთ. ქართლი ამ გზაზე ჯერ სრულებით არ შემდგარა. აქ არავითარი ამნაირი ზავოდი არ მოიპოვება. აქ არის მხოლოთ ხე-ტყის დასამუშავებელი ზაოდები, რასაც შესაფერი ნაყოფი გამოუღია. მრეწველობის ამ დარგს ისე ძლიერი კვალი დაუჩნევია თავის კუთხეში, რომ ნებას მივცემ ჩემ თავს აქ შევჩერდე და მოკლეთ ესეც გავაცნო მკითხველს.

ხე-ტყის დამუშავება წარმოებს ატენის ხეობაში და ეკუთვნის ქართველიშვილს და ზეზემანს. ამ ათი წლის წლის წინეთ მათ აუღიათ იჯარით იქ მდებარე ტყეები და საქმეც გაუჩაღებიათ. ხეობაში 40 ვერსის მანძილზე გაუყვანიათ ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა, რის საშუალებით ხეები მოაქვთ ზავოდამდის (სოფ. ატენში), აქ ხერხვენ სხვა და სხვა ზომის ფიცრებათ და აქედან იმავე რკინის გზით გააქვთ გორის სადგურამდის. ამ საქმეში ჩაუდვიათ ნახევარი მილიონი მანეთი და მართლაც მაშინ დიდი მოძრაობა ყოფილა. ამ ჟამათ კი მუშაობა შემცირებულია, მარა წელიწადში 20 ათასი ხე მაინც გამოაქვთ და ხერხვენ. ხის მასალის მოთხოვნილება დიდია, მხოლოთ ტყეები გაკაფულა (ბევრიც გადამწვარა) და ძლიერ შორს წასვლაა საჭირო ხის მოსანახავათ. მოჭრილი ხეები რკინის გზამდის ჩამოაქვთ ხარ-კამეჩით. რკინის გზაზე უხვდება დღეში ორი მატარებელი და ატენში მოაქვს. ზავოდი ორია, ერთი წყლის ძალით მუშაობს მეორე კი ორთქლით; პირველიდან გამოდის ფიცრები, მეორიდან კარ-ფანჯრების და პარკეტებისთვის საჭირო მასალები. 12 გოჯიანი ხე იხერხება 15 წუთის განმავლობაში. ზაოდებში მუშაობენ დღე და ღამე შეუჩერებლათ; თითოში ათი მუშა დღე ადგია თავზე მაშინას და ათი ღამე. იმათი დღის ქირა უდრის 60—70 კ. მხოლოთ ხერხების გამლესავი კი მანეთს ღებულობს. ხე-ტყის საწყობზეა 12 მუშა, სახელოსნოში 7. მუშაობა იწყება დილის 5 საათზე და თავდება საღამოს 6 საათზე (ზაოდებში ამ დროიდან მუშათა მეორე წყება შემოდის). საუზმე და სადილისთვის მიცემული აქვთ საათ ნახევარი. მაშასადამე ისინი დღეში $11^1/_2$ საათს მუშაობენ. ამათ გარდა არიან კიდევ მატარებლების დამტვირთავნი და დამცლელნი, ესენი ღებულობენ თითო მანეთს. ხოლო დანარჩენთ — მაშინისტებს და სხ. თვიური ჯამაგირი აქვთ. მუშები ცხოვრობენ იქავე, ზავოდის ახლოს, განსაკუთრებით აშენებულ მუშათა სახლებში. სახლები ხისაა და წარმოადგენს გძელ გძელ იმერულ ოდებს. ცოლ-შვილიანთ ორი ოთახი აქვთ დათმობილი, უცოლშვილონი ერთ ოთახში რამდენიმეც თავსდებიან. სადგომები ყველას არ ჰყოფნით, ამიტომ მოხელე-მუშებს უპირატესობას აძლევენ, შავი-მუშები კი, როგორც მოხვდებათ ისე ცხოვრობენ. აქ ყველაზე უფრო საკვირველი ის არის, რომ მთელი ეს საქმე, გარდა სახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოსნოსი, ქართველი მუშების ხელშია; შაეი-მუშა ხომ ქართლელია და ქართლელი, მათი მაშინისტები, ოთქლის მანქანის „მასტერი", სახელოსნოში ზოგი მომუშაეე და სხ. ესეთი მოხელენიც სოფლის უბრალო გლეხებია. ესენი პირველათ მუშებათ ყოფილან, მარა თაეის უფროსებისაგან ნელ-ნელა მატარებლის წაყვანაც შეუსწაელიათ და სხვა საჭირო ხელობებიც, პატრონსაც ძეირი და განათლებული ტეხნიკები დაუთხოვია და მათ ალაგას ესენი ჩაუყენებია. და მიუხედაეათ ამისა ყოველიეე ისე მიმდინარეობს, როგორც წინეთ მიმდინარეობდა! ამ ტეტიასაც ისე კარგათ დაჰყაეს ლოკომოტიეი, როგორც ნასწაელ მაშინისტს; ეს ტეტიაც ისე კარგათ აკეთებს გაფუჭებულ ლოკომოტიეს, ასწორებს რკინის გზებს როგორც ნასწაელი მოხელე. ერთი სიტყვით ქართლელ გლეხს თაეისი ნიჭი ფართოთ გამოუჩენია, და იმისთვის, რომელსაც სოფლათ გუთანსაც არ ანდობენ, აქ მატარებლები ჩაუბარებიათ! მაშინისტებს შორის ერთი მეღორეთ ნამყოფია, მეორე გუთნის ღედათ, მესამე მეძროხეთ და ასე ბოლომდის.—სად გისწაელია ეს ხელობა? შეეეკითხე ერთ ამათგანს. — სად? აი ამ მთებში, სიცილით მომიგო მან. და მართლაც რომ მთებში უსწაელია და არა სკოლაში. წერა-კითხვა ზოგმა სულ არ იცის, ზოგს კიდეე თაეისით შეუსწაელია.

და განა ამას შემდეგ ვინმეს შეუძლია თქვას ქართლელი გლეხი უნიჭოაო? არა, სრულიათაც არა... მას დიდი ნიჭი აქვს, მხოლოთ საჭიროა შესაფერი ასპარეზი, რომ მან თაეი იჩინოს და ნაყოფი გამოიღოს. ხოლო მიწის მუშაობაში არა თუ გამოჩნდება, არამედ რაც აქვს ისიც კი დაუჩლუნგდება. გაუჩინეთ მას სამრეწველო საქმეები, ჩააყენეთ ის ფაბრიკა-ზაეოდებში, სახელოსნოებში და სხ. და თქვენ ნახავთ თუ ეს ერთი შეხედვით ჩლუნგი და გარემოების მიერ დაჯაბნებული ადამიანი, როგორ ხელათ გამოიცველება და ერთიანათ გადახალისდება. ის ისეთიეე მოძრაეი და მომქმედი გახდება, როგორც ყველა დანარჩენი და შეიძლება კიდეე მეტიც. აქედან ცხადია, რომ ქართლელის დაძაბუნება პირდაპირ მისი სოციალური პირობების შედეგია. შეცვალეთ ეს პირობები და ტეტიაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ქვეყნის წინმსვლელობაში და მით ყველასაგან აბუჩათ აგდებულ გლეხისაგან თანამედროვე მოქალაქეთ გახდება. და რადგანაც, ის თაეის სოფლიდან არ გამოდის, თაეის კერას არ შორდება და სამრეწველო საქმეებს არ ეძებს, ამიტომ თეით სამრეწველო საქმე უნდ, მიეიდეს მასთან და სამოქმედოთ გამოიწვეიოს. სწორეთ ასე უქმნია ქართეველიშეილს და მის ხე-ტყის წარმოებას სოფლები მოძრაობაში მოუყვანია. აქ სახლებიც უკეთესი აქვთ, ჩაცმაც რიგიანი, წასვლა-მოსვლაც ხშირი—ერთი სიტყვით ატენის ხეობის სოფლები ქართლის დავარდნილ სოფლებს აღარ ჰგაეს, თუმცა ისინი მთა-გორებზე და მიუეალ ადგილებზე არიან გაშენებულნი. —აქ ბეერი იყვენ ისეთები, რომელთაც რკინის გზის გაყვანამდის გორიც არ ენახათო, მითხრა ბ. ქართველიშეილმა. ხოლო ახლა კი ისე არ ამოიელის და არ ჩაიელის მატარებელი, რომ ათი-ოცი მგზაერი არ იქნეს ზედ. მოგზაურობა მუქთია, სამგიეროთ ზამთარში გლეხები მუქთათ წმენდენ ლიანდაგს თოელისაგან.

ასეთია პირველი ქართული სამრეწველო ინიციატიეა ქართლში და როცა მას მეორე, მესამე და მეათე მოჰყეება, მაშინ ქართლის განახლების ზარი დარეკს და ხალხიც გახარებული შემოსძახებს: წინ, წინო!

ნ. ყორდანია.

სხვა-და-სხვა ამბავი.

საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილის" რედაქცია აპირებს იდღესასწაულოს ჟურნალის არსებობის ათი წელიწადი. საშობაოთ გამოეა საიუბილეო ნომერი და რედაქცია წარუდგენს ჯეჯილის თანამშრომლების და თანამგრძნობლების წრეს ათი წლის ჟურნალის შემოსავალ-გასავალს და ხელის მომწერლების რაოდენობას.

—

იმ კომიტეტს, რომელსაც განზრახეა აქეს საქართველოს ნაწარმოებნი გამოჰფინოს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზე, თაეისი საკუთარი ბიურო გაუხსნია თფილისში სათაეად-აზნაურო ქარეასლაში, ქართული თეატრის მარჯვენა გვერდზე. მსურველებმა ყოველიეე ცნობის შესაკრებათ იქ უნდა მიმართონ.

—

პეტერბურგიდან იუწყებიან, რომ დამტკიცებულ იქნა კახეთის რკინი გზის პროექტი, თიონეთის მაზრაზეო. ამ პროექტით რკინის გზა დაიწყება ზემო აეჭალიდან, გაიელის მტკვრის ნაპირას, მერე გადაეა არაგვის მარცხენა მხარეს. გადაიელის სოფლებს გურამიანთ კარს და ჯვარს. აქედან მოუხვეეს ბიწმენდისაკენ, გადაეა ახოტს და დაეშვება ერწოში, გადაჭრის ერწოს და მიეა ორხეეში, იორის მარჯვნიე. აქედან წაეა იორის ნაპირ-ნაპირ სოფ. საყარაულომდის აქ გაეა იორზე და მიეა ხეე-გრეხილის ხეობაში, აქედან მიეა მდინარე ილტომდის და ახმეტის სადგურთან მიუხვეეს. ახმეტიდან წაეა პირდაპირ

თელავში, ხოლო თელავიდან სოფ. საქობოში და იქ გაჩერდება. სულ ეს გზა შეიცავს 166 ვერსტს. თითო ვერსის გაკეთება ჯდება 40 ათასი მ. ამნაირათ ეს გზა უახლოვდება მივარდნილ კუთხეებს ხევსურეთს და თუშეთს და გადაჭრის კახეთის მჭიდროთ დასახლებულ ადგილებსაც. გამოანგარიშებულია, რომ ამ გზით ყოველ წლივ კახეთიდან გამოიტანენ ათ მილიონამდის ფუთ საქონელს, ხოლო შეიტანენ ორ მილიონამდის. ამნაირათ, ჩვენი ქვეყანა თანდათან ისერება რკინის გზებით, რაც უეჭველია გამოაღვიძებს მიძინებულ კუთხეებს. ამას გარდა, ამიერ კავკასია პირდაპირ შეუერთდება რკინის გზით რუსეთის რკინის გზებს დერბენდ-ბაქოს რკინის გზით. ასე რომ მომავალი წლის იანვრიდან თფილისიდან პეტერბურღში ივლის პირდაპირი ვაგონი, გზას მოუნდება მხოლოთ სამი დღე და ეღირება, როგორც ამბობენ, მესამე კლასი 18 მ. ხოლო მეორე—27 მანეთამდე.

—

წლევანდელი პარკის მოსავალი ზაქათალის ოლქში და კახეთში უკვე გამოირკვა: პირველში მოსულა 15 ათასი ფუთი ნედლი პარკი, ხოლო მეორეში დაახლოვებით 8 ათას ფუთამდე. ამათში ათასი ფუთი ევროპიული ყვითელი ჯიშისაა, დანარჩენი კი თეთრი, ბაღდადის. აგვისტოს გასულს ნუხის ბაზარზე ფუთი მშრალი თეთრი პარკი იყიდებოდა 38 – 47 მან.

—

კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო ქუთაისში ამ შემოდგომაზე მოწვეულ იქმნას მეაბრეშუმეთა კრება. კარგი იქნება ამ ნებართვით ისარგებლებდენ და ჩვენი მეაბრეშუმეები ერთ რაიმე გზას დაადგებოდენ.

—

ქართლის მებატონეები კაი ხანია ცდილობენ თავის გლეხებს გამოართვან ნადელათ მიცემული მიწები და სამაგიერო სხვაგან, ერთ ალაგას მიუზომონ. ამას ძალიან ეწინაალმდეგებიან გლეხები, რის გამო ხშირათ ჩხუბი და დავიდარაბებია. ამ საგნის შესახებ საინტერესო კორესპონდენციაა დაბეჭდილი „ახ. მიმ.“ (№ 5385) ს. ოძისიდან. კორესპოდენტის სიტყვით, მამულების ასეთი გაცვლა თფილისის გუბერნიაში მოხდა სულ ხუთი, მარა ხუთივე დიდი დავიდარაბით: კარალეთში, თ. რ. ერისთავის მამულში, კასპში და ბერშუეთში თ. ამილახვრის და ხიმშიაშვილის მამულში, შემდეგ ბრილში, დიასამიძის მამულში და ბოლოს სოფ. მათაანში (თიონეთის მაზრაში) თ. ჩოლაყაშვილების მამულში. სულ ყველამ, გარდა ამ უკანასკნელისა, გლეხების წინაალმდეგობა გამოიწვია, რაიცა ბრილში ტრაგიკულათაც გათავდა, მხოლოთ ჩოლაყაშვილის გლეხები დათანხმდენ და ესეც იმიტომ, რომ ბატონმა უსასყიდლოთ დაუტოვა მათი სამოსახლო და სავენახე ადგილები და სახნავ-ნადელებს გარდა კიდევ მისცა 36 დღიური ზედ მეტი. მაშასადამე გლეხებს ძალიან დიდი ჯილდო მიუღიათ ბატონისაგან და ამიტომ ისინიც დათანხმებულან მამულების ხელ-ახალ მიზომვაზე.

—

სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, განზრახვა აქვთ, რომ ღვინის მომზადება ნება დართულ იქნას მხოლოთ განსაკუთრებულ ქარხნებში, რომლებზედაც მუდმივი ზედამხედველობა უნდა იქონიონ სააქციზო უწყების წარმომადგენელთ, იმის განურჩევლათ, თუ სად იმყოფება ეს ქარხნები.

—

„თფ. ფ.“-ს მოსკოვიდან აუწყებენ, რომ რამდენსამე დიდ კაპიტალისტს დაუარსებია კავკასიის მთა-მადნების საწარმოებელი ამხანაგობა,

—

„ახ. მიმ.“-ს ოზურგეთიდან აუწყებენ, რომ ადგილობრივ მემამულეთა და ქალაქის თვით მმართველობისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა კრებამ, რომელიც მოხდა იქ მეაბრეშუმეობისა და ბაღეულობის გამოფენის დროს, ერთხმათ დადგინა: თხოვოს კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების განყოფილებას შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელთან არსებული სამეურნეო განყოფილება გადაკეთებულ იქმნას დამოუკიდებელ საბაღოსნო სკოლათ.

—

თფილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა რიცხვი თანდათან მცირდება. მაგ. წელს პირველ კლასში მიღებულ იქმნა მხოლოთ 30 შეგირდი.

—

უმაღლეს მთავრობას გადაუწყვეტია ნება მისცეს ქალებს მოსამსახურებათ შევიდენ სამწერლო, სატყეო და სახელმწიფო ქონების გამგეობაში.

—

ქუთაისში ცნობილი არტემ ანჯაფარიძე-ოლქის სასამართლოს განაჩენით-გამოცხადებულია გაკოტრებულათ და დატუსაღებულ იქნა ციხეში.

„კვალის“ კორესპონდენციები.

ნ. ასკანა (გურია) არა სანატრელ მდგომარეობაშია აქაური ბიბლიოთეკა, და ეს თავისთავათ ცხადია თუ კი აქაური სკოლის მდგომარეობას გავითვალისწინებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე ხანია ეს წმინდა ადგილი მასწავლებელთა ბრძოლის მოედნათ გამხდარა და თავის მოვალეობას აღარავინ ასრულებს. ბიბლიოთეკა და სკოლა ხელი-ხელ ჩაკიდებულნი უნდა მოქმედობდენ და ორივეს სულის ჩამდგმელნი მასწავლებლები უნდა იყვენ, თუ, რა საკვირველია, მათ „თავნი თვისნი თან ახლავთ“, მაგრამ როდესაც მასწავლებელნი თავის პირდაპირ მოვალეობას ღალატობენ, რაღა უნდა გააკეთონ ისეთ საქმეში და დაწესებულებაში, რომელშიაც მათი მოქმედება იურიდიულათ კი არაა სავალდებულო, არამედ ზნეობრივათ. ამ უკანასკნელზე კი კარგა ხანია ჩვენმა „პესტალოცებმა“ ხელი აიღეს. მთელი წლის განმავლობაში არც ერთს სკოლის ბავშს ბიბლიოტეკის წიგნი არ წაუკითხავს, და არა თუ მოწაფეს თვით მასწავლებელთაც არ შეუხედნიათ ბიბლიოტეკაში. რუსული ჟურნალები, რომლების მკითხველებათ სოფლათ მასწავლებელნი უნდა ითვლებოდენ, ჩვენ ბიბლიოთეკაში ჯერაც გაუჭრელი ძევს თაროზე. სახალხო კითხვების და სალიტერატურო საღამოების გამართვა, რასაც ასე ხელს უწყობენ ჩვენი სოფლის ცხოვრების პირობები, სიზმრათაც არ მოსვლიათ ჩვენ ინტელიგენტებს! რაც შეეხება ბანკს, აქაც იგივე სიბნელე, იგივე ბურუსი და გაუგებრობა სუფევს, როგორც სკოლაში და ბიბლიოტეკაში. სკოლის „სმოტრიტელი“, ბანკის უფროსი „დირექტორია“ და აქაც ისე უკანტროლოთ, ალვირ წახსნილათ მოქმედობს, როგორც სკოლაში. ამ ვაჟბატონის და მისი დამქაშების (განსაკუთრებით სოფლის მწერლის) წყალობით დღეს ჩვენი ბანკი ისეთი წესდებით მოქმედობს, რომელიც რუსეთში და სხვაგან, კარგა ხანია, არხივს ჩაბარდა. ახალი წესდება, შედარებით-ძლიერ მაღლა დგას ძველზე. ის უფრო მეტათ შეეხება ჩვენი სოფლის ეკონომიურ პირობებს და შესამჩნევათ აფართოვებს ბანკის მოქმედების ასპარეზს. მერე არ იკითხავთ, რამ აამხედრა გამგეობა და მისი დამქაშები ახალი წესდების წინაღმდეგ? რამ და იმან, რომ ახალი წესდების შემოღება ბანკში ისეთმა პირმა განაცხადა პირველათ, რომელიც კრიტიკული თვალით უცქერის ასკანის „ტალეირანების“ მოქმედებას. ბევრი სხვა უმეტესობა და უწესოება სუფევს ჩვენ ბანკში. მაგ. გამგეობა უფრო ხალისით უხსნის კრედიტს ნაცნობ-ნათესავებს, ამა სოფლის ძლიერთ და სესხის შემოტანის ვადასაც უგრძელებ,ს წინააღმდეგ საზოგადო კრების დადგენილებისა. ერთი სიტყვით ბანკში „ნათესაობა — ნათლიაობამ“ იჩინა თავი. იმედია საზოგადო კრება არ აჰყვება ორ-სამ პირადი ინტერესებით ამოძრავებულ პირთ, შეიგნებს სოფლის ინტერესებს, ღირსეულათ განსჯის ყველაფერს და ცოტა სინათლეს მაინც მოჰფენს ბანკის დღევანდელ სქელი ბურუსით მოცულ შინაგან ვითარებას.

ორიოდე სიტყვა ჩვენ მწერალ-მამასახლისზედაც. ახლანდელი მამასახლისი მხოლოთ კანცელარიის, და საზოგადოების მორთულობაა — დეკორაციაა და მწერლის იარაღი სხვა არაფერი. როგორც დედოფალას ეგრე ათამაშებს მწერალი ჩვენ მამასახლის, როგორც უნდა ისე ახტუნებს. სამაგიეროთ თვით მწერალი ხალხის ცარცვაში და მწერლური „ხრიკების“ შესწავლაში ძლიერ შორს წავიდა; ცნობილ მოსე მწერალს მან გაასწრო და განსაკუთრებული, — ახალი სოფლის მწერლის ტიპი შექმნა. ასე რომ განსვენებული ნინოშვილი, რომ ცოცხალი იყოს ჩვენ სიტყვაკაზმულ ლიტერატურას ახალ ნაწარმოებს შეჰმატებდა შემდეგის სათაურით: „ყარამან მწერალი“. ეს ვაჟბატონი მწერლის ქერქში ველარ ეტევა და ახლა უნდა ბარემ მამასახლის ს ქერქშიაც გაეხვიოს, რასაკვირველია, ფორმალურათ, ამიტომ მომავალ სამამასახლისო არჩევნებზე ფიქრობს თავისი კანდიდატურა წამოაყენოს. მაგრამ არა ვფიქრობ ჩვენ საზოგადოებას, რომელიც წინეთ ცნობილი იყო, როგორც შეგნებულათ მომქმედი, ისე დაებნეს დავთარი, ისე დაჰკარგოს თავისი ინტერესების შეგნება, რომ მტერმოყვარე, ველარ გაარჩიოს.

ასეთ სურათს წარმოადგენს ამ ჟამათ ეს ჩვენი ქება-დიდებით შესხმული ასკანა, ეს „ევროპის ნაგლეჯი“. აქ უნებლიეთ მაგონდება დიდებული გეინეს ერთი ლექსი, რომელშიაც პოეტი ცხოვრებას ადარებს შვენივრათ მორთულ კოპწია პატარძალს, როდესაც მას (ცხოვრებას) ვუცქერით ჩვეულებრივის თვალით. მაგრამ, წარმოიდგინეთ, იგივე ცხოვრება ძლიერ წააგავს საშინლათ მახინჯს როკაპს, როცა მას განმადიდებელი მინით ვუცქერით. სწორეთ ასეთი შედარება ზედ გამოჭრილია დღევანდელ ასკანაზე, რომელიც პირველ შეხედვით მტრის გულის მომკვლელია, მაგრამ დაკვირვებისა და მისი შინაგანი ავანჩავანის გაცნობის შემდეგ — მოყვრის-გულის გამტეხი.

მეხა - ფარელი.

—

გუდაუთი (აფხაზეთი). ამ დღეებში გამოეთხოვა აქაურ ქართველ საზოგადოებას ადგილობრივი სამი-

ნისტრო სკოლის მასწავლებელი ბ. ნიკო სიმონის ძე ჯანაშია, რომელიც თავისსავე სურვილით გადაყვანილ იქნა სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლათ. თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც ბ. ჯანაშია გადმოიყვანეს გურიიდან მასწავლებლათ, მაგრამ ამ მცირე დროის განმავლობაში საკმაოთ დააჩნია კვალი და თვალსაჩინოთ წასწია წინ აქაური სკოლის საქმე. თუმცა ეს სკოლა მის მისვლამდის არსებობდა მაგრამ უკანასკნელ დროებამდე მიღწეულ ავათმყოფს' წაგავდა და რომელ საათში დალევდა სულს არავინ იცოდა, რის გამო საზოგადოებასაც გაუტყდა გული. უცხოელი მასწავლებლები, ადგილობრივ ენების უცოდინარობის, გამო ვერ ახერხებდენ ხეირიანათ გაკვეთილების გარდაცემას და ამის გამო მოსწავლეთა რიცხვი თუ აკლდებოდა, თვარა არ ემატებოდა. სწორეთ ამ გაჭირვების დროს მოუსწრო ბ. ჯანაშიამ სკოლას და თავისი შრომით, მხნეობით და ერთგულათ საქმის ასრულებით საუკეთესო ნიადაგზე დააყენა დღეს გუდაუთის სკოლის საქმე. განსაკუთრებით დიდი ხალისით ეტანებოდენ სკოლას მეგრელების და აფხაზების პატარა ყმაწვილები და ქალები. ბ. ჯანაშიამ კარგათ იცოდა ადგილობრივი ენები და მისი დახმარებ შემწეობით მეტის-მეტათ უადვილებდა ბავშებს სწავლას. გარდა თავის პირადი მოვალეობისა, თავისუფალ დროს. ბ. ჯანაშია ახმარებდა საზოგადო საქმეებს: ხშირათ მართავდა ხალხში ბაასს და ცდილობდა ყველა მრუდათ მოსიარულე კეთილ და ჭეშმარიტ გზაზე დაეყენებინა. ხშირათ ამხილებდა გაზეთების შემწეობით ზოგიერთ გადმონათვის ალვირ წახსნილ კაკარდოსნებს მათ მოქმედებას და, შეძლების და გვარათ, აწვდიდა ქურ. „კრებულის" მკითხველებს ეტნოგრაფიულ წერილებს აფხაზეთიდან. ამ ბოლომდი გაუგებდა გუდაუთის სამკითხველოს საქმეს და საზოგადოების დახმარებით აცოცხლებდა მას. იმედია ადგილობრივი პატივცემული ქართველი საზოგადოება შემდეგშიაც მოუვლის ამ ძვირფას განძს (სამკითხველოს) და არ გამოასალმებს წუთის სოფელს.

დიდის პატივისცემით ვიხსენიებთ აგრეთვე ქ-ნ. ელენე ჯანაშიასაც, რომელიც თავის ხელოვნურ ცოდნას არავის არ ამადლიდა და უფასოთ ასწავლიდა პატარა მოწაფე-ქალებს ქსოვა-ქარგვას და სხვა ხელსაქმეებს. დიდათ საწყენათ დარჩა საზოგადოებას ასეთი მასწავლებლის მოშორება, ნიშნათ პატივისცემისა გამოთხოვების დროს გაუმართეს სადილი და სახსოვრათ ძმურ მეგობრულ კავშირისა სურათიც გადაიღეს ერთათ. იმედია, რომ ახლათ დანიშნული ბ. ჯანაშიას მოადგილე ქ-ნი აგრაფენა ლაკერბაია ისე ნათლათ და პატიოსნათ განაგრძობს ამ კეთილ საქმეს, როგორც მისი წინამოადგილე და ამითი მოიყვანს სისრულეში ჩვენი უკვდავი პოეტის სიტყვებს:

ლეკვი ლომისა სწორია
ძუ იყვეს თუნდა ხვადია.

თეოფ. გოგიტიძე.

სადგ. ქურდამირი, (ბაქოს გუბერნია), სადგურ ქურდამირთან გაშენებულია თათრის დიდი სოფელი ქურდამირი, რომლის მცხოვრებთა რიცხვი შედგება ათას კომლამდის. ყოველ კომლს უსათუოთ მოეპოვება რამდენიმე დღიური მაღლარი ვენახი, რომლის ნაყოფითაც სარგებლობენ სხვა-და-სხვა მხრიდან მოსული მეღვინეები. აქაურ ღვინოს უფრო ხმარობენ სხვა-და სხვა მხრის მჟავე-დაძმარებულ ღვინოების გასაკეთებლათ, რადგანაც აქაური ღვინო მეტის-მეტი სქელი და ტკბილია. ვისაც ეს ტკბილი ღვინო ალაგობრივ არ უნახავს ის უთუოთ გაკეთებულ—შაქარნარევ ღვინოთ მიიღებს.

წელს შარშანდელზე ნაკლები მეღვინეები მოვიდენ, რადგანაც წლევანდელ გვალვისაგან გაფუჭებულ ყურძენს ნაკლები ღვინო გამოდის, მას ზოგი არაყის გამოსახდელათ ყიდულობს, რომლისაგანაც ძალიან მაგარი არაყი იხდება. შარშან ყურძენი ფასობდა ფუთი მანათათ, წელს კი მყიდველებმა პირობა შეჰკრეს, ათ შაურზე მეტი არ მიეცათ ფუთში და კიდეც გაიყვანეს თავისი სიტყვა. რაკი თათარს სარწმუნოება ნებას არ აძლევს ღვინის დაყენებისას და არც გზა და კვალი იცის ყურძნის ბაზრისა, ამისათვის ძალა უნებურათ უნდა გაჰყიდოს იმ ფასათ, როგორც თითონ მყიდველები დააწესებენ.

ამ მხრის უვიც მცხოვრებთაგან ყოველ ნაირი ჩარჩი სარგებლობს, რომელნიც ნახევარ ფა'ათ ყიდულობენ სხვა-და-სხვა ნაწარმოებს. აქ მოდის: ბამბა, ბრინჯი, ჭირნახული და სხვ. მისდევენ აგრეთვე მებრეშუმეობას და საქონლის მოშენებას, უფრო ცხვრისას, რის გამოც გაზაფხულობით მოდიან აქეთ თბილისის მეყველეები, ყიდულობენ რძეს და აკეთებენ შვენიერ ყველს, რასაც თფილისში თუშურ ყველათ ასაღებენ. აქაური მცხოვრებნი ნივთიერათ უფრო მაღლა დგანან ქართველებზე, რადგანაც სახნავ-სათეს-საძოვარი მამული უფრო მეტი აქვთ; სხვა-და სხვა სამეურნეო დარგის ნაყოფს ბევრსა ჰყიდიან, მოთხოვნილება ნაკლები აქვთ და ქეიფ-ლოთობაში არა ჰფლანგავენ თავის მონაგარს, რის გამოც აქ ისე დაგლეჯილ-დაკონკილ ხალხს ვერ შეხვდები, როგორც ქართველებში. აქეთ მხრის მცხოვრებთა შორის ის სიცოცხლე-მოძრაობა არ არის, რო-



ყ ი ნ უ ლ ე ბ ი ა ნ ი ზ ღ ვ ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ქართველთა სოფლებში, აქა-იქ გესმის მარტო დამაღონებელ-ერთხმოვანი „აბალ-ამან“, რომელიც მხიარულ ადამიანსაც კი დაალონებს.

ქურდამირში არსებობს ერთ-კლასიანი სასწავლებელი, რომელშიაც სწავლობს ორმოცამდე მოსწავლეს. ეს სასწავლებელი მოთავსებულია ახლათ აშენებულ ევროპიულ სახლში, რაიცა მეტათ აშვენებს სოფლის შუაგულ მოედანს, სადაც კვირაობით იმართება ხოლმე ბაზრობა. აქვე ასწავლიან აბრეშუმის მოვლა-მოშენებას. სოფლის სიგრძე არის 13 ვერსამდე და სიგანე 5 ვერსამდის, რის გამოც ყველა მცხოვრებს ერთი სასწავლებელი ვერ აკმაყოფილებს.

სადგურთან ახლოს მცხოვრებნი სხვა-და-სხვა დაწესებულების მოსამსახურე პირებია, რომელთა შორის გამოჩნდა რამდენიმე მზრუნველი საზოგადო საქმისა და შეადგინეს სცენის მოყვარეთა პატარა წრე, სადგურის უფროსის ნ. გ. ყარანგოზიშვილის მეთაურობით. ამ პატარა წრემ გააწყო სამუდამო სცენა აქაურ მემამულის ი. ფ. ერემიშვევის სახლში, რომელმაც სახლი იანვრამდის უფასოთ დაუთმო სცენის მოყვარეთა წრეს, რის გამოც დიდი მადლობის ღირსია. რვა ენკენისთვისთვის დანიშნეს რუსული წარმოდგენა, რომელსაც დიდ ძალი ხალხი მოაწყდა, მაგრამ უადგილობის გამო ბევრი უკან დაბრუნდა. ბილეთების გაყიდვიდან შემოვიდა ათ თუმნამდის და ხარჯ გარდა გადარჩენილი 36 მ. 85 კ. გაეგზავნა თბილისის რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებელს-შეუძლებელ მოსწავლეთა სასარგებლოთ. წარმოდგენიდან ხალხი დიდათ ნასიამოვნები დაიშალა დ დიდი მადლობა გადაუხადეს გამგეს წარმოდგენისას ნ. გ. ყარანგოზიშვილს. ღირსნი არიან მადლობისა, როგორც გამგე, ისე ყველა ის პირნი, რომელნიც მას ეხმარებოდენ სცენის მოწყობაში, მაგ. გლებოვი, პედაშენკო, პრეობრაჟენსკი და ჩუშინი. თამაშით თავი იჩინეს: ნ. ლ. სარჯულაძემ და ა. ი. გლებოვმა. პირველი მეტათ კარგი იყო კინტოს როლში და მეორე ურიისაში, კარგნი იყვენ აგრეთვე: ბ-ნი შაპოშნიკოვი ქ-ნნი სიბირკო და სავინისა.

პირველ ღვინობისთვისათვის არის დანიშნული ქართულ-რუსული წარმოდგენა მცხეთის ტაძრის შესაკეთებელ ფონდის სასარგებლოთ და დუშეთის მაზრის იმ გლეხთა სასარგებლოთ, რომელნიც დაზარალდენ სეტყვისაგან.

იმედია ის პირნი, რომელნიც გულ-წრფელ და ენერგიულ შრომასა ეწეოდენ წინა წარმოდგენაზე, შემდეგშიაც არ დაიშურებენ თავიანთ შრომას, რითაც დიდათ დაავალებენ აქაურ საზოგადოებას და იმედია საზოგადოებაც თავის ყურადღებას არ მოაკლებს და დაეხმარება თავისი თანაგრძნობით ამ სიმპატიურ მიზნით დანიშნული წარმოდგენას.

ი. ფახ—შვილი.

საზღვარ-გარეთ

საფრანგეთი. დრეიფუსის გამტყუნებამ რენის სასამართლოს მიერ გამოიწვია დიდი პროტესტი განათლებული კაცობრიობისა. ამერიკამ, ინგლისმა გერმანიამ, ავსტრიამ, იტალიამ და სხ. სახემწიფოებმა განიზრახეს საფრანგეთის დასჯა იმით, რომ პარიჟის მსოფლიო გამოფენაში მონაწილეობას ნუ მივიღებთო და მართლაც შედგა კომიტეტები ამ მოძრაობის სისრულეში მოსაყვანათ. და მერე რატომ ამხედრებულან ესენი საფრანგეთის წინაალმდეგ? იმიტომ რომ რენის 5 აფიცერმა მართალი კაცი გაამტყუნაო. მარა 5 მოსამართლე და მთელი საფრანგეთი ხომ ერთი და იგივე არ არის?..

— საფრანგეთის პატრიოტებს, ანტისემიტებს და როიალისტებს ცუდი დღე დაადგათ. ამათი საიდუმლო შეთქმულობა რესპუბლიკის წინაალმდეგ გამომჟღავნდა და ახლა მათი მეთაურები და ბელადები ციხეში ბრძანდებიან. ამათ მოწყინდათ თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა და განიზრახეს ყველა ამის მოსპობა, რესპუბლიკის გაუქმება დ ჰერცოგი ორლეანელის მეფეთ მოწვევა. ამათ კიდევაც დანიშნეს მომავალი სამეფოს მოხელენი—ერთი სიტყვით ყოველივე გააწყვეს და მხოლოთ შემთხვევას ელოდენ თავის გეგმის სისრულეში მოსაყვანათ. მარა არ დასცალდათ. დრეიფუსის საქმემ სხვა მრავალ საიდუმლოებასთან ერთათ ესეც სინათლეში გამოტანა. და ერთი კვირაა ეს შეთქმულნი წარდგენ სახელმწიფო სამსჯავროს წინაშე გასასამართლებლათ. ამ სამსჯავროს წარმოადგენს სენატი, რომელიც განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში სამსჯავროთ იქცევა. ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში ეს მეორეჯერ არის, რომ სენატი, როგორც უმაღლესი სასამართლო, ერთათ იყრება. პირველი იყო 1889 წ. ბულანჟეს დროს, ხოლო მეორე კი ახლაა. მართალ ია დღეს ბულანჟე აღარ არის, მარა დღევანდელი მოძრაობაც ბულანჟურია, მხოლოთ უბულანჟოთ კი. დღესაც რესპუბლიკის მტრები შეერთდენ რესპუბლიკის დასამხობათ და რომ ეს განეხორციელებიათ ამდენ რეაქციონურ ღენერლებში ერთს კი არა რამდენსამე ბულანჟესაც კი იშოვიდენ დიქტატურისათვის. ამ რამდენისამე წლის წინეთ ღენერალ ბუადერფმა თქვა: მე ისე არას მოვიმოქმედებ, რომ წინდაწინ მამა დიულაკს არ შევეკითხოვო. ეს დიულაკი გახლავს საფრანგეთის იეზუიტების წინამძღოლი და, რასაკვირველია, ის ყოველთვის რესპუბლიკის წინაალმდეგს ჩააგონებდა თავის სულიერ შვილს—ღენერალ ბუადერფს. ასე ნელ-

წელს ისევ გაძლიერდენ საფრანგეთში კლერიკალები და სხვა და-სხვა პოლიტიკური ფრაქციის სახელით ასპარეზზე გამოვიდენ; იარეს, იარეს და სახელმწიფო სამსჯავროს კარებს კი მიაწყდენ. შეთქმულობაში სამხედრო პირი არ ურევია, საქმიდან არ ჩანს ეს. უეჭველია, წინ გამოუშვეს უფრო ჩქარი და უცნობი პირები (გარდა დერულედისა), ხოლო ცნობილი და დამსახურებული პირები კი უკან დადგენ; თუ რამე გააკეთეს მოწინავეებმა ჩვენც გამოვჩნდებით, თუ არა და ტყუილა რაზე შევირცხვინოთ თავიო. ვნახოთ სენატი რას გამოარკვევს.

გერმანია. გერმანიის კონსერვატორებს ერთი სასეირო ამბავი დაემართათ, ისინი ყოველგან და ყოველთვის გაიძახოდენ: ჩვენ მთავრობის უქვეშევრდომილესი მონა-მორჩილი ვართო და ახლა კი გამოჩნდა რომ ისინი მორჩილი არიან მანამდის, სანამდის მთავრობა ამათი მორჩილია, მარა როგორც კი ეს მათ ენას შეუბრუნებს—მაშინვე ტოვებენ თავის ალაგს და წინააღმდეგობას აცხადებენ: ამიერიდან ჩვენ მორჩილი აღარ ვართო. სწორედ ასე მოუვიდათ ამ ჟამათ ამ ახირებულ-ძმობილთ. მთავრობამ განიზრახა აღმოსავლეთ პრუსიაში სანაოსნო არხი გაეყვანა და მიმოსვლა გაეადვილებია. კონსერვატორებმა ამას ეჭვის თვალით შეხედეს, არხით ადვილათ გადმოიტანებენ სხვა შორეულ პროვინციების და უცხოეთის სამეურნეო ნაწარმოებს და ჩვენი ნაწარმოებნი ფასში დაეცემაო. აი ამ მოსაზრებ-თ მათმა დეპუტატებმა გააშავეს პროექტი. მთავრობასა და კონსერვატორთა შორის მოხდა შეჯახება. კონსერვატორთა პარტიაში და მათ „მეურნეთა კავშირში“ ბევრი მაღალი მოხელენია და აი ამ მოხელეთა დახმარებით გაშავდა პროექტი. გამოდის რომ მთავრობის მოხელე, რომელმაც თავისი უფროსის სურვილი უნდა განახორციელოს, მთავრობის წინააღმდეგ მოქმედობს. მთავრობამ დასაჯა ისინი, ზოგი მათგანი დაითხოვა და ზოგსაც გამოუცხადა თავი დაანებეთ „მეურნეთა კავშირსო“. მთავრობა ცდილობს კონსერვატორთა პარტია გადაახალისოს, მას ვიწრო, ეგოისტური, პურის და ყველის პოლიტიკა მოაშოროს, უფრო მაღალი მოსაზრებანი ჩაუნერგოს და თავის არსებობის ბურჯათ გადააქციოს. შეასრულებს კი ამას? ძალიან საეჭვოა. ამ სამი წლის წინეთ გრაფ კანიცს, ერთი მისი პროექტის გამო, ხელმწიფემ Brodwucher—პურის ჩარჩი—დაარქვა და სწორედ ეს კანიცია კონსერვატორთა პარტიის მეთაური და სულის ჩამდგმელი. გერმანიის არც ერთი დიდი პარტია არ არის მთავრობის მომხრე გარდა კონსერვატორებისა—(ნაციონალ ლიბერალები ხომ სათვალავში აღარ არიან) და თუ ესენიც გამოეცალა, მთავრობა დარჩება უნიადაგოთ, ჰაერში გამოკიდული. და რადგანაც წყალზე ფეხით დიდხანს გაჩერება არ შეიძლება, ამისათვის ვილჰელმის მთავრობაც იძულებული იქნება ან დაიმორჩილოს კონსერვატორები და ან მათ თვითონ დაემორჩილოს. რომელი მოხდება ამას მომავალი გვიჩვენებს.

— უკანასკნელი სტატისტიკური ცნობებიდან ჩანს, რომ მუშა ქალები თანდათან მრავლდებიან ფაბრიკებში და ზაოდებში. პრუსიის ფაბრიკებში 1897 წელს მუშაობდა 337,504 ქალი, ხოლო 1898 წ. კი 353,629 ქალი, 18,898 ფაბრიკებში დაპნეული. ამათში 139,777 ქალი არის 16—21 წლის, ხოლო დანარჩენი კი 21 წლის და მეტის არიან. უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში ფაბრიკის მუშა ქალებს მოემატა 45 ათასზე მეტი ქალი. ამავე დროს მატულობს ბავშების რიცხვი ფაბრიკებში. იმათი რიცხვი 1897 წ. იყო 132,352, ხოლო 1898 წ. 142 121. ამათში 98,935 არის ვაჟი და 43,186 ქალი. უკანასკნელ სამ წელიწადს მუშა ბავშებთა რიცხვმა (პრუსიაში) იმატა 10 ათასით.

სერბია. კაი ხანია მას შემდეგ რაც სერბიის მეფემ მილანმა ტახტი თავის შვილს გადასცა და თვითონ პოლიტიკას თავი დაანება. ის წავიდა სერბიიდან და მიეცა სრულიად კერძო ცხოვრებას. მარა ეს კერძო ცხოვრებაც ჩქარა მოსწყინდა ისე როგორც წინეთ მეფობა და მოინდომა ხელობის შეცვლა, ისევ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა. მილანი მოვიდა სერბიაში და რადგანაც მეფის გვირგვინს ხელმეორეთ ვეღარ დაიდგამდა, განიზრახა უგვირგვინოთაც ემეფნა. ახალგაზდა მეფე ალექსანდრე ჩაიგდო ხელში და სახელმწიფო საქმეებს დაეპატრონა. მარა ერთხელ გატეხილი სახელის აღდგენა ძალიან ძნელია და მილანმაც მოინდომა სერბიის ხალხის თვალში სახელის გაკეთება. მის წინააღმდეგ კი გაცხარებით იბრძოდა რადიკალთა პარტია და ყოველსავე მის პლანებს აქარწყლებდა. მილანმა გაიფიქრა, სანამ ეს პარტია იქნება, მე ვერას გავაწყობო და გადაწყვიტა მისი განადგურება. საჭირო შეიქმნა რაიმე ხერხი, რაიმე შემთხვევა, რაიმე მიზეზი, რომ ათვალწუნებულ მოღვაწეთა წინააღმდეგ ამხედრებულიყო. და თუ ეს მიზეზი თავის თავათ არ გაჩნდებოდა, უნდა „გამოგონებულიყო“ და კიდევაც იქმნა გამოგონებული—ქუჩაზე ვიღაც კნიაჟევიჩმა მილანს დამბაჩა ესროლა და მიზეზიც აღმოჩნდა. დაიჭირეს თვით მსროლელი, და მასთან მიაყოლეს ყველა ცნობილი რადიკალები. ესენი გამოაცხადეს კნიაჟევიჩის ამხანაგებათ და სასამართლოს გადასცეს როგორც სახელმწიფოს მოღალატენი. სულ 24 რადიკალთა

მეთაური წარდგა მსაჯულების წინაშე და, მიუხედავათ ყოველიეე სინამდვილისა, ოთხს გარდა ყველა გაამტყუნეს. ზოგს ოცი წლის ციხე მიუსაჯეს, ზოგს 9 წლის და ზოგს კიდეე ხუთის, ხოლო კნიაქევიჩს და ერთ მის ამხანაგს, ტაისიჩს დახვრეტა. მეფემ სასჯელი აპატიეა მხოლოთ ერთს—პაშიჩს, წინეთ სამინისტროს თავმჯდომარეთ ნამყოფს. ასე და ამნაირათ, მილანმა თავის გულის წადილი შეისრულა, მოწინააღმდეგენი ციხეში ჩასვა და თვითონ ამიერიდან თავისუფლათ შეუდგება თავის „საქმეს“. აი როგორ აწარმოეებენ პოლიტიკას ზოგ პატარა, ნაძალადევ სახელმწიფოებში.

ᲑᲐᲖᲐᲠᲘ. ფუთი ჩვენებური სიმინდი ამ ჟამათ ლონდონში ღირს 70½ კაპ.—რაც შეეხება პარკს, მარსელში მისი მოთხოვნილება დიდია და ფასებიც მაღალია. ერთ კილ. თეთრ პარკში აძლევენ 11—12 ფრანს. ლიონის ბაზარზე თუმცა ბევრი ახალი აბრეშუმი გამოიტანეს, მარა ფასს არ დაუკლია და მოთხოვნილება არ შემცირებულა.



***

ᲓᲔᲔ, მიძახონ ვისაც რა უნდა,
რაც კი რამ ითქმის კაცის ენითა!
დეე თავი მოვკვდინ საქვეყნოთ თუნდა
და დამსისხლონ კიდეც ბენითა!..
დეე ვამაგონ მე ქვეყნის თვალში
და ტალახშიაც ავათ ვამსვარონ!
თუნდ საჩვენებლათ მატარონ ხალხში!
თუნდ გულზედაც ვადამაარონ!—
მე არ შემრცხვება, ვამბობ გულ-მაგრათ,—
შენ ამაზე თქვი, რაც კი რამ ვინდა,—
კიცხვა და ვმობა მიხახს მე ორათ,
თუ სინდისი თან მახლავს წმინდა!
მაგრამ თუ ხალხში მე ვარ ქებული,
ქება-დიდება უველგნით მსმენია,
სინდისი კი მაქვს ვაშაგებული,—
აი, როდის ვძრწი, როდის მრცხვენია!

დ. თომაშვილი.

ხალხის გულის მესაიდუმლე.

(თხზულებები ეგ. ნინოშვილისა.)

Иныхъ временъ, иныхъ картинъ
Провижу я начало. ნეკრასოვი.

(შემდეგი *)

IV

ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ცხოვრება სიპატარაეიდანვე ისე მოეწყო, რომ ის ადრე შეეჩვია ცხოვრების ჩაკვირვებას, მის შესწავლას. ყოველი მისი მოთხრობა ღრმა დაკვირვების ნაყოფია, ცხოვრებიდან არის მთლათ ამონაკითხი. ჩვენი გლეხობა დღეს ორ ნაწილათ იყოფა, რაც დრო გადის, ეს ორი ნაწილი თანდათან უფრო მკაფიოთ იხატებიან და ამავე დროს უფრო და უფრო შორდებიან ერთმანეთს როგორც ქონებით, ისე ინტერესებით, ზნეობით და სხვ. პირველ ნაწილს შეადგენენ გალატაკების გზაზე შემდგარი გლეხნი, მეორეს გამდიდრებული გლეხები—სოფლის ბურჟუაზია. პირველის წარმომადგენელია სიმონა ძალაძე, მეორის – დავით დროიძე („სიმონა“). ამ ოცდა ათი წლის წინეთ დავით დროიძე უბრალო გლეხი იყო, ერთი აზნაურის ნაკაკარი. ყმაწვილობისას დავითი დადგა ვაჭარ ბერძენთან, რომელიც სოფლებში ნიგვზის ხეებს ყიდულობდა და ჰყიდდა. როცა ბერძენი თავის ქვეყანაში წავიდა, დავითმა საკუთრათ დაიწყო ვაჭრობა და მოკლე დროის განმავლობაში ბევრ ფულს მოუყარა თავი. შემდეგ სიმინდის ვაჭრობას მოჰკიდა ხელი და თავისი ჯიბე კიდეე უფრო გაიტენა. დავითი ამას შემდეგ მოუბრუნდა თავის სოფელს, შეიყიდა მებატონისაგან მიწა, წამოჭიმა ოდა და დაკოლშეილდა. თუმცა დავითი სოფლათ ერთ ალაგას დაბინავდა, მაგრამ აღებმიცემობისათვის თავი არ დაუნებებია. თუ რამ სახეირო „საფოდრატო“ საქმე გაჩნდებოდა, დავითი ხელიდან არ გაუშვებდა; ფულს ასესხებდა და მარტო სარგებელი იმდენი გროვდებოდა, რომ ოჯახს არ ყოფნიდა. როდესაც დავითს უფროსი ვაჟი წამოეზარდა, იმან გახსნა თავის სოფელში დუქანი, მოიტანა ისეთი საქონელი, რომელშიაც უფრო საჭიროებდა სოფლის ხალხი; დააყენა დახლში თავისი ვაჟი და დაიწყო ვაჭრობა. დავითის შეძლება თანდათან უფრო და უფრო იზრდებოდა. იმან მიჰყო ხელი მიწა-ადგილების ყიდვას და იმდენი შეიძინა, რომ „ბოლო დროს კარგი მამულის პატრონი თავადისთვის შეეძლო ხელის გაწვდენა“. რამდენსამე წელს შემდეგ უფროსმა ვაჟმა სოფლის დუქანს თავი დაანება და მახლობელ ქალაქში მაღაზია გააღო. დავითის ორმა შვილმაც ვაჭრობას მოჰკიდეს ხელი. ორი უნცროსი ვაჟი დავითმა სასწავლებელში გამოზარდა; ერთი მათგანი პოლიციაში მსახურებდა, მეორე კი, საცაა, იუნკრის სასწავლებელს გაათავებდა და აფიცერი გახდებოდა. დავითს აღარაფერი აღარ აკლდა, მხოლოთ ერთი გარემოება აწუხებდა: თუმცა ძალიან მდიდარი იყო, მაგრამ გლეხათ ითვლებოდა და ამიტომ ყოველგვარი გადასახადი კისერზე აწვა. გადასახადი მისთვის სამძიმო საქმეს არ შეადგენდა, მაგრამ სათაკილოთ მიაჩნდა, ამიტომ დახარჯა ფული და სასულიერო წოდებას მიეწერა. მთელი სოფელი დიდ პატივს სცემდა

*) ის. „ᲙᲘᲜᲐᲚᲘ“ № 36

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითს. თითქოს აღარავის ახსოვდა, რომ დავითიც ერთ დროს სხვებსავით ღარიბი გლეხი იყო, ყველას აზნაურათ მიაჩნდა და მის ოჯახს აზნაურის ოჯახს ეძახდენ. სოფლის მოხელეები დავითს დამეგობრებული ჰყავდა და ამ გვარათ სოფელში დიდი გავლენა ჰქონდა. რასაც დავითი მოინდომებდა, უმეტეს შემთხვევაში ასრულდებოდა: შეექნა სოფელს დავა ახალი ეკლესიის ადგილის შესახებ, დავითმა გამარჯვა; —დახარჯა ფული და ეკლესია იქ ააშენებია, სადაც თითონ უნდოდა. გლეხებმა იცოდენ, რომ „დავითი მდიდარი კაცია და მდიდარს ყოველთვის უჭრის ხმალი ღარიბზე“. ის მეფის ტოლ კაცათ მიაჩნდათ, დარწმუნებული იყვენ, რომ ნეკის გაქნევით დაღუპავდა, ვისაც გაიმეტებდა, ამიტომ დავითის დიდი რიცი ჰქონდათ. ისეთი ადამიანიც კი, როგორც სიმონას დედა —ქეთევანი, რომელსაც ხშირათ თოფით ხელში ეჭკაცები უფრენია, დავითს ვერაფერს ვერ უბედავს. ერთხელ დავითის შვილმა ქეთევანს ორი ღორი მოუკლა, მხოლოთ იმიტომ, რომ იმის ეზოში შეეიდენ. სხვას რომ ექნა, ქეთევანი თოფით მიუხტებოდა, მაგრამ დავითთან პირ იქით თითონ მოიხადა ბოდიში, თითქოს დიდი დამნაშავე ყოფილიყოს მის წინაშე.

— რა ექნა, ქვრივოხერი ვარ, პარუტყვის მოვლა ვერ შეეიძელი და შეგაწუხეთო.

საშუალო ბურჟუას ყოველის ფერზე თავისი საკუთარი შეხედულება აქვს, მისი გონება ჩითქსა და არშინს არ გაცილებია, ამიტომ ყოველგვარ მოვლენას, ადამიანის პიროვნებას, მის ღირსებას ის ფულით ზომავს. დავითს თუმცა ბევრი ეიწრო ბურჟუაზული შეხედულება აქვს შეთვისებული, მაგრამ ერთ დროს ის ღარიბი გლეხი იყო, ნიადაგ სოფელში ცხოვრებდა, სოფლის ხალხთანა ჰქონდა საქმე, ამიტომ გულით და გონებით ხალხს მთლათ არ მოწყვეტია. სულ სხვა არის მისი შვილი ტიტიკო: მემკვიდრეობამ, ცუდმა აღზრდამ და მისმა გავლენამ მისი გონება ყოველგვარი სპეტაკი აზრისათვის დაახშვეს. მისი აზრით ვისაც ფული აქვს, სრული უფლება ეძლევა ყოველგვარი სისაძაგლე ჩაიდინოს. სინიდისი, პატიოსნება მისთვის უშინაარსო სიტყვებია, „სიმძლავრე ანუ ძალა ახლანდელ დროში ფულია“-ო ამბობს ის. მას სიმდიდრე მიტომ უნდა, რომ ყოველი ადამიანის დაჩაგვრა, სხვისი ზნეობის და პიროვნების შელახვა შეეძლოს. ქალში ტიტიკო აფასებს მხოლოთ გარეგნობას, ქალი მას მარტო სქესობრივი გრძნობის დასაკმაყოფილებელ მანქანათ მიაჩნია. როდესაც თავისი საზიზღარი განზრახვა შესრულა და სიმონას ცოლი, დარიკო, გააუპატიურა, დარიკოს ფულის ძლევა დაუყო; როცა დარიკომ ფული არ წაიღო, ტიტიკომ იფიქრა: „ალბათ ეშინია, სახლში რომ შეუტყონ სცემენო“. მისი ეიწრო ბურჟუაზიული შეხედულება იმდენათ ვერ ამაღლებულიყო, რომ ადამიანის ყოველ გვარი ღირსება ფულზე არ დაეხურდავებია. ეკონომიურმა პირობებმა წარმოშობეს ჩვენში დროებები, ესენი სუქდებიან და ყოველისფერს ანადგურებენ თავის გარშემო. თუ როგორ უთხრიან ძირს სოფლის კეთილდღეობას ასეთი პირები, ამის თავდებია თვით მათი ხასიათი და შეხედულებანი, მოწმე კი სიმონას დაღუპვა.

წვერ-ულვაშ ამწვანებული სიმონა იყო ქვრივი ქეთევანის ერთათ ერთი ვაჟი. ქეთევანის ოჯახი ერთ დროს შეძლებული ოჯახი იყო. მისი მამამთილი, გაბილა ძალაძე, თავმომწონე და გულადი გლეხი იყო; სხვისი ნაარმი არ უნდოდა, სხვას არ ჩაგრავდა, მაგრამ არც თვითონ დაეჩაგვრინებოდა ვისმე; ბატონსაც კი რიდი ჰქონდა იმისი. ქეთევანის ქმარი მეტაო მჩვარა-კაცი გამოდგა; თავპირი რომ ვისმე დაემტვრია მისთვის, ხმას ვერავის გასცემდა. გაბილას სიკვდილის შემდეგ ოჯახს შეეიწროება დაუწყეს, მაგრამ ქეთევანი იყო მარჯვე დედაკაცი, ქორიეთ დასტრიალებდა ოჯახს და ყველას ის აძლევდა პასუხს. ბევრს შეაძულა თავი ქეთევანმა, ბევრ ჭორებს უგონებდენ მას, მაგრამ სინიდისი წმინდა ჰქონდა და ვის რას შეეპუებოდა! ასეთი სიმარჯვით ქეთევანმა ოჯახი დამხობისაგან დაიფარა. სიმონა მამას არ ჰგავდა ხასიათით, ის ბაბუას გამოეგვანა. ბაბუასავით ამაყი და შეუპოვარი იყო. სიმონას ასეთი ხასიათი სიპატარავიდანვე ეტყობოდა.

დავით დროიძეს სოფელში სიტყვის შებრუნებას ვერავინ უბედავდა, სიმონა კი თუთხმეტის წლისა იყო, როცა ხალხში გალანძღა დავითი და დაეშოქრა მას.

„— დავით რა დაგიშავე, რომ პატარობიდან შემიჭედე? ისე შენმა ცოდვიანმა ნახოს ხეირი, რაკი მე შენი ან უფროსი, ან წიდი, ან ია დათიკაის სიმინდი მეკიბარე! ეს შენ წაწყმენდილო, ქვეყნის მოსპილო, რას მერჩი რას?“

დავითმა დააჭერინა სიმონა და „ნაობახში“ დამწყვერეა, მაგრამ სიმონა იქიდანაც გამოიძახოდა: „თუ გამოვედი აქედან, გაჩვენებ შენს სეირსო!“

როცა სიმონა დავაჭაცდა, მას ტოლი არ ჰყავდა სოფელში; ყველა მას შენატროდა, ყველას ის უყვარდა; ჭირში თუ ლხინში ყველა მას იწვევდა. „ყველა მეზობელი სიხარულით ეხმარებოდა და იხმარიებდა სიმონას, ყანაშიაც და სხვა საქმეშიაც; სიხარულით პატიჟობდენ ქორწილში, ნათვლაში, გასაპირში და დასალხინში. ან ვინ დაიწუნებდა მეზობლათ მუშაობაში მარჯვეს, ლხინში კარგ მოსიმღერეს და მოთამაშე სიმონას“.

დროების წყალობით „ძალაძის ბიდამო გაბარეასდა, ბალდამთ გადაიქცა: პატარა სასლი, საძროსე, სადო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე და ფაცხა დალბა და ჩაინგრა, სახლის კედლები ჯერ კიდევ იდგა, მაგრამ ისე, რომ მის დანახვაზე საშინელი სეკდა მოგაწვებოდათ გულზე. მეზობლის ქალები და ბავშვები, რომ გაიკლიდენ ამ ერთ მიდამოს სახლოვეს, „წმინდა გიორგი დამიფარეო", კადაწერდენ შიჯვარს და გაეფერთხებდენ სახლისკენ".

მოთხრობის ღირსება მდგომარეობს ტიპების სინამდვილეში. ნინოშვილმა ცხადათ დაგვანახვა სოფლის ცხოვრების შეცელა; გლეხობის დიფერენციაცია, ახალი ურთიერთობის დამკვიდრება. დროიძეები ამ ორმოცოდე წლის წინეთ არ იყვენ ჩვენში, ისინი დღევანდელმა ცხოვრებამ წარმოშობა; ხოლო აეტორმა ნაძალადევათ მოაწყო დამოკიდებულება დავითსა და სიმონას შორის, წინდაწინვე დასახულ მიზნისაკენ მიმართა, ამიტომ მოთხრობა ტენდენციური გამოვიდა. მოქმედების განვითარებაში ნაძალადობა აშკარათ გამოსჭვივს. მოთხრობის ნასკვი იმაში მდგომარეობს, რომ დავითს სიმონა თავიდანვე ძულდა, მტრულათ უყურებდა; მოსპეთ ეს მტრობა და მთელი მოთხრობა შეუძლებელი იქნება იმ სახით, როგორც აეტორმა დაწერა. ამიტომ ნათლათ უნდა იყოს ახსნილი, რამ შეაძულა თავიდანვე დროიძეს სიმონა? ამას კი ნინოშვილი არსად არ გვიხსნის რიგიანათ. ძალაძის ოჯახი ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რომ დავითა არ გადაემტერებია; დავითს კი „სიმონა და საზოგადოთ ძალაძის ოჯახი თავიდანვე ათვალწუნებული ჰყავდა". რათა? რისთვის?! მართალია, დავითი ატყობდა, რომ სიმონა თავის ბაბუა გაბილას წაგვედა, მაგრამ ნუ თუ ეს მზგავსება ასეთ შიშს მოჰგვრიდა დავითს, რომ თხუთმეტი წლის სიმონას მტრათ გადაჰკიდებოდა და მისი დალუპვა გადაწყვიტა? აი, როგორ ლაპარაკობდა ყრილობაზე დავითი:

„. . . მართალია, ჯერ დიდიზა ვერ შეუბედავს, ვინცხაა, მარა, რომ გაბოიტეა, იმასაც არ დაკვლებს ხელს.

აქ დავითმა სიტყვა შესწყვიტა, ცოტა ჩაფიქრდა და შემდეგ ისევ განაგრძო:

— იქნება არაფერ შეაშია და ტეფილ წეიწყმინდო სულ... ჩემი თვალით არაფერი მინახავს მის სეკში... კიდევ კიტუკი, ობოლი კაცია და, თუ დანაშაული არ არის დიდ ცოდვას ვიდებ კისერზე, მარა...

აქ კიდევ შეეყუმანდა და შემდეგ დაფიქრებით წარმოსთქვა:—მარა ჩემი ფიქრით ია ობოლი ბიჭი, სიმონა, უნდა შობოდეს ამ წვრილმან ქერდობას, სხვაზე მე ჩემი ჭკუით გუშანი ვერ მიმიტანია და აწი თქვენ იცით".

ამ სიტყვების ისე ახსნა, ვითომ დავითი განგებ ყოყმანობდა და მელიოდა, რომ ხალხი მოეტყუებია და არ შეენიშნინებია მისი სიმონასადმი სიძულვილი, შეუძლებელია; დავითი წრფელის გულით ამბობს ამ სიტყვებს, მას არ უნდა უდანაშაულოთ სხვისი დალუპვა, ის არ არის იმდენათ უსამართლო, რომ განგებ სიმონას ქურდობა დაწამოს, პირ იქით,—მას სიმონა ებრალება კიდეც, როგორც ობოლი კაცი. დავითი დარწმუნებულია, რომ სიმონა ბევრ „წვრილმალ ქურდობას შვრება", მაგრამ მაინც ეძნელება ამის საჯაროთ აღიარება. ამას შემდეგ, როდესაც დავითს თავლა გაუტეხეს და ცხენი მოჰპარეს, დავითმა ქურდობა მაშინვე სიმონას დააბრალა და დარწმუნებულიც იყო ამაში! ყოველათ შეუძლებელია, რომ დავითი დარწმუნებული ყოფილიყო სიმონას ქურდობაში ან მისთვის დაებრალებიოს ქურდობა: მთელმა სოფელმა იცოდა, რომ სიმონა იმ დღეს ცოლის ძმასთან ერთათ სამუშაოთ იყო ყანაში. წასული და საღამოს დაბრუნდა სახლში; რომ ის ვერ შეძლებდა გათენებისას ცხენი მოეპარა, უცებ გადაემალა და ყანაში მუშაობაც დაეწყო, ამას ყველა მიხვდებოდა. მართალია, დავითის მოჯამაგირე ამბობდა: ქურდები „სიმონას" უძახოდენო, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. მართალია სიმონა სამ წელიწადნახევარს დაატუსაღეს, მართალია, მამასახლისი დავითს ყურმოჭრილი ყმა იყო, მაგრამ სასამართლოში დავითის ძლიერებას ნაკლები გავლენა ჰქონდა. გაცილებით უარესი უკანონობაც ხდება, მაგრამ მისი ჩამდენიც გაცილებით მეტი გავლენის მექონია, ვიდრე დავითი, რომელიც თავის სოფელს გარეთ უბრალო დავითია. უდანაშაულო სიმონა, რომლის სიმართლესაც მთელი სოფელი დაამტკიცებდა, რომ ასე დაესაჯათ, შეუძლებელი იყო; სიმონა არ იყო იმდენათ გამოუცდელი და არც ადვა მისი, რომ მოწმების შოვნა ეღარ მოეხერხებიათ. მართალია, სოფელს დავითის ხათრი ჰქონდა, ეშინოდა კიდეც, მაგრამ შიში და ხათრი იმდენათ ვერ წაახდენდა ყველას, რომ სიმონაზე ხელი აეღოთ, ის გაემეტებიათ, მით უმეტეს, რომ დავითი სრულიადაც არ ცდილობდა, სიმონა უსათუოთ დაესაჯა; ის მინდობილი იყო სამართალზე და ამბობდა: „თუ მართალია და ეე სამართალი და გაამართლოს, ჩემი რა საქმეაო". სიმონა კი სოფელს უყვარდა და უმეტესობა მის სიმართლეს არ დაჰფარავდა. როდესაც სოფელს მოთხოვა მთავრობამ: ქურდები მომეცეო, აეტორის მიზნისათვის საჭირო იყო, რომ სოფელს სიმონაც გაეცა; ამავე დროს მან კარგათ იცოდა, რომ დავითი მთელ სოფელს ისე ვერ დაიმორჩილებდა, რომ მართალი კაცი დაეღუპინებია, და ამიტომ წინდაწინვე გვატყობინებს: ხალხიც დარწმუნებული იყო სიმონას ავკაცობაშიო.

„რაც ერთხელ სამინდის მოშორვის გამო და მეო-

რეხულ დავითის ცხენის მოპარვის მიზეზით სიმონა საპატიმროში იყო, დიახ ამ ორ შემთხვევას შემდეგ მეზობლებს სიმონა მართლათაც საეჭვო ადამიანათ მიაჩნდათ. ხალხმა რა იცოდა, თუ სიმონა ორსავე შემთხვევაში ცამდის მართალი იყო. ხალხი უმეტეს შემთხვევაში ქვევრივით არის; რასაც ჩასძახებენ, იმასვე ამოიძახებს. გავლენიანმა დავითმა ჩასძახა, სიმონა მავნებელიაო, და ხალხიც იმეორებდა, მავნებელიაო“.

დავითისთანა პირებს სოფელში გავლენა აქვსთ, მაგრამ არც იმდენი, რომ მთელ სოფელს თავის სურვილისამებრ საუკეთესო პირები გაამეტებიონ; მარტო დავითის ჩაძახება სრულიად არ იყო საკმარისი, რომ სიმონა ხალხს გაეცა.

ყოველივე ნათქვამით იმის აღნიშვნა გვინდოდა, რომ წინდაწინვე დასახულმა მიზანმა ნინოშვილს ბევრი სიყალბე ჩაადენია: დამოკიდებულება სიმონასა და დავითს შორის იმდენათ ბუნებრივი, აუცილებელი არ არის, რამდენათაც ნაძალადევი. ტენდენცია ღირსებას შეადგენს სახელოვნო ნაწარმოებისას, როდესაც ის სინამდვილეს არ ამახინჯებს; ხოლო თუ სინამდვილე დამახინჯებულია, ბევრი პირობები მოქმედების განვითარებაში ნაძალადევათ არის შექმნილი, ასეთი ტენდენცია ნაკლულევანებაა. ნაძალადეობა ეტყობა „პარტახს“, დანარჩენ მოთხრობებში ნინოშვილს არც ერთ ალაგას არ უღალატნია სინამდვილისათვის.

ივ. გომართელი.

ოლონდაც!

პატარა ამბავი

V.

(დასასრული *)

ორშაბათი საღამო იყო. ზაფხულის მკაცრი მზე თითქო დიდგულობსო, ფერ-უცვლელათ ჩაესვენა მთაწმინდის იქით და თფილისმა თავისუფლათ ამოისუნთქა. მაინც და მაინც არა გრილოდა, მაგრამ თბილელები ჩვეულებრივათ მოედვენ ქუჩა-ბაღებს და განსაცხრომათ ემზადებოდენ. აპტიქა მინაიჩის სახლებში სიცხისაგან შეწუხებულმა გენომ და ქეთომ წამოიყვანეს თავისი ორი ბავშვი და ალ... ბაღისკენ გამოემართენ. თავ-ჩაღუნვით გამოიარეს თომასა და არტემას დუქნის წინ და თითქმის ხმა ამოუღებლივ შევიდენ ბაღში. იქ ერთ ბექობზე ამოირჩიეს სკამი და გაბუტულებსავით მიეყუდენ სკამის ზურგს. ქეთო და გენო გაფაციცებით ადევნებდენ თვალ-ყურს გამვლელ-გამომვლელთ და დრო გამოშვებით მწარეთ ილიმებოდენ, ეტყობოდა ორივე ერთსა და იმავე საგანზე ჰფიქრობდა, მაგრამ, თითქო ლაპარაკს ვერა ჰბედავენო, ჯერჯერობით სდუმდენ. აგერ ჩამოაქროლა შვენიერმა ლანდომ, ლამაზი არაბული ცხენები თქაფა-თქუფით მოაქანებდენ რეზინის თვლებს და შიგ მჯდომნი მედიდურათ გამოიყურებოდენ.

— ჰმ! ამოიგმინა ქეთომ და ჩაიცინა.

— ჰმ! ღიმილითვე უპასუხა გენომ და დაბალი ხმით დაუმატა.

— ვინ იცის, ჩემო კარგო, რამდენი კაცის სისხლით არის ნაყიდი ეგ ლანდოა თუ რაღაც ოხრობა.

— მაგას შიგ მჯდომიც უნდა გრძნობდეს, რომ კარგი მაშინ არის. ყრუთვე უპასუხა ქეთომ. მაგრამ ჯერ სიტყვა რიგიანათ არც კი დაეთავებინა, რომ მეორე, უფრო უკეთესმა და მდიდრულათ მორთულმა, ეტლმა ჩამოაქროლა. ეს ეტლი ორ-პირი იყო, ე. ი. წინ და უკან ერთგვარი საჯდომები ჰქონდა და საშინელი ფართოც იყო. შიგ სამი მეტის-მეტათ გაყვითლებული, თუმცა კი ბრილიანტებით მორთული, ქალი იჯდა და მეტის მეტი სინაზით მწყრებივით განაბულიყვნენ. ამაყათ იპედებოდა მხოლოთ მეეტლე, რომელსაც გრძელი წვერები ორათ გაჰყოფოდა ქარისაგან და მთლათ გაწითლებული მორგვსავით გაშეშებულიყო ეტლის კოფოზე. მაგრამ იმაზე უფრო ამაყათ გამოიყურებოდა ერთი ვეეშერთელა ხუჭუჭა ძაღლი, რომელსაც სისუქნისაგან თვალის ქუთუთოები მოლმეჭოდა და ისეთ შეხედულებას აძლევდა, თითქო მშიერ-წყურვალთ დასცინის და ეუბნება: „თქვენც ვითომ ადამიანები ხართ, აბა მაშ მომეტოლეთო.“ თვალის დახამხამებაზე მოწყდა ეს ეტლიც ქუჩას და მოსახვევში მიიმალა, მას მეორე ეტლი გამოუდგა, მეორეს მესამე. აგრილდა კიდეც, ხალხი უფრო აირია, მაგრამ გენოს აღარა გაუგიარა. ღრმა ფიქრებში გართული უაზროთ მიჩერებოდა, იქვე მის შორიახლო მჯდომ გლახაკს, თუ გალოთებულ კაცს. ამ საცოდავს ტანისამოსი სულ მთლათ შემოხეოდა, ტიტველა, დაწყლულებული მუხლის კვირისტავები ამოეყო დაგლეჯილ შარვლიდან და იდაყვით ზედ დაჰბჯენოდა. დრო გამოშვებით ხან ერთ ხელს შეიყოფდა ხოლმე უბეში, ხან მეორეს, გამოჰყავდა კბენარი და მოურიდებლათ სრესავდა როგორც ეტყობოდა მისთვის ქვეყანაზე არავინ და არაფერი აღარ იყო პატივსადები. დაჩაგრულ დაბეჩავებულს გული გაჰმაგრებოდა და თავისი უყურადღებობით სამართლიან შურის ძიებას უწევდა ყველა იმათ, ვისაც ადამიანის დამცირებაში ბრალი მიუძღვის... დიდხანს უყურა გენომ და თითქო გონს მოვიდაო მწარეთ და მუშტების მოკუმვით წამოიძახა.

— ხედავ, ქალო რა ამბავია ქვეყნათ. შეხე ერთი იმ ცხოველს, ადამიანის აჩრდილი რომ გამხდარა,

*) იხ. „კვალი“, № 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადახედე იმ მუშასაც, აი მოაჯირს იქით თავ-განწირვით რო ქვასა ჰკოდავს, დააცქერდი ამ აუარებელ გლახაკებს, შეხედე ამ კროებს, ქუჩის მგველებს, კურტნიან მუშებს, მთელ ამ ბრბოს, ამ შავ ხალხს, ჭუჭყიანებს, დაღერემილებს, ავათ-მყოფებს, მშიერებს და მწყურვალებს—და მერე მოიგონე წელიწადელი ეტლები, ოქრო ვერცხლში ჩამსხდარნი, ნებივრობისაგან სახე დაკარგული ქალები-თავისს ძაღლებით და მეეტლეებით! ეჰ, რაც პირველებს დაჰკლებია, ის მეორებს შეჰჰატია. სად არის აქ სამართალი! ბრაზობდა თან და თან გენო.

— ოღონდაც, ჩემო კეთილო, ამ ქვეყნათ ერთი მეორის ყურ-მოჭრილი მონაა!.. ყრუთ უპასუხა ქეთომ და ბავშების მოსაყვანათ აუზთან მიეიდა. გენო კვლავ ფიქრებში გაება. არის ხოლმე ისეთი წუთები კაცის ცხოვრებაში, რომ ერთხელვე აბობოქრებულ გულის თქმას თავს ვეღარ აღწევს ადამიანი და უფრო და უფრო ეძლევა თავ-დავიწყებას.

გრილი საღამო, ხალხის ქვეილ-ხვეილი, შადრევანის წყლის ერთ-გვარი შუილ-ქუხილი, ბავშების ცელქობა და სიცილ ხარხარი, ზოგის სევდიანობა და დაღერემილობა, ხოლო ზოგის ქარაფშუტობა და ფეხების ფლასტა-ფლუსტი, ერთის სიტყვით; მთელი ცხოვრება მთელის თავისი დაუდეგარობით, რასაკვირველია ვიწრო ჩარჩოში ჩასმული კი, აქვე, გენოს თვალ წინ გაშლილიყო და მის აფორიაქებულ გულის თქმას მოსვენებას ეღარ აძლევდა. მალია ფიქრი ადამიანისა, ცვალებადია აზრთა-დენა ცოცხალისა, შესმენილის არსებისა და გენოც თავ-დავიწყებით ერთხელ კიდევ მიეცა ათას გვარ მოგონებას. მართალია იგი არც მუშა იყო, არც თუ უმეცარი, არც უკანასკნელი დედ-მამის შვილი და არც საპყარი ვინმე, მაგრამ მაინც რაღაც გამოურკვეველი სევდა-ეარამი გულს ულრღნიდა და სულს უხუთავდა. რათა ან რისთვის? იმიტომ რომ გენომ წარმოიდგინა მთელი უსუსურობა, მთელი უძალ-ღონობა თავისი თავისა. წარმოიდგინა „მარტოობა სულისა“, წარმოიდგინა რომ ყველა, დიდი და პატარა, მძლავრი და სუსტი, მდიდარი და ღარიბი, ნაცნობი თუ უცნობი ერთი მეორის წინააღმდეგია, ერთი მეორის მკიცხავი და მეჭორეა... კვლავ რათა და რისთვის? აი საკითხავი, რომელიც ყველასაგან დაფიქრებას ითხოვს და ვაი იმის სულის სიმშვიდეს, ვინც მოინდომებს ქვეყნის უკულმართობის გათვალის-წინებას თუ იგი მარტოა, ერთათ ერთია, გულწრფელი ტოლი და ამხანაგი ვერ უშოვნია!.. გენოც ერთათ ერთი თუ არა—დიდი ხანია მარტოთ იყო დარჩენილი. თვისი და ტომი, ამხანაგი და მეგობარი მანამდის გყავს კაცს, ვიდრე ამ უკანასკნელთ ეჭირვებათ შენი თავი, ვიდრე შენგან გამოელიან რასმეს. გენოსაც ბევრი ჰყავდა მეგობრები, მაგრამ როცა დატყო, რომ მათი გულის თქმა ერთმანეთისას არ უდგებოდა ზოგს თითონ ჩამოშორდა და ზოგიც თითონვე მოშორდა. დარჩა მეთქი მარტო, თუმცა კი იმედს არა ჰკარგავდა და ელოდებოდა უკეთეს დღეებს, მაგრამ როცა კი ამ იმედის შესახებ ოცნებას მიეცემოდა ხოლმე, თითქო გული უგრძნობსო, უცბათ მხრებს ჩამოუშვებდა და მწარეთ ეკითხებოდა თავისს თავს: ვის მივმართო, ვის რა ვუთხრა. სიტყვით ყველა კარგები ვართ, ხოლო საქმით?... მაგრამ ან კი რა საქმის გაკეთება შეგვიძლიან, როდესაც იძულებულნი ვართ ლუკმა პურისათვის მთელი ჩვენი ძალ-ღონე გავყიდოთ, როდესაც ჩვენი თავის ბატონები ჩვენ არა ვართ, და არამც თუ საქმე, სიმართლის თქმაც რომ გვინდოდეს, უკან უკან ვიხედებით თავში არავინ ჩაგვარტყასო.

— ოხ, ცხოვრებაო, ცხოვრებაო! გულსაკლავათ ამოიგმინა გენომ, როდესაც ფიქრით ამ ადგილამდის მოვიდა და გაფანტულათ მიმოაველო თვალი თავს გარშემო.

— კაცო რა ფერი გაძევს... რა არი ღმერთმანი... ფიქრით რას მოუმატებ შენ საქმესა. აღე შინ წავიდეთ... ნაწყვეტ-ნაწყვეტათ უთხრა აუზიდან გამობრუნებულმა ქეთომ და წასასვლელათ მოემზადა.

— ჰო, დროც კი არის. უპასუხა გენომ და ბარბაცით ზეზე წამოდგა.

— კაცო, რასა ფიქრობ მაგდენს? დაეკითხა ქეთო თავ-ჩაქინდრულ გენოს, როდესაც ერთი ეტლისათვის გზა უნდა აექციათ.

— რასა? რასა და იმას, რომ ხვალ კიდევ უნდა წავიდე უფროსთან... ერთხელ კიდევ უნდა დავეღრიჯო, ენახოთ დამიქირავებს თუ არა. წაილულლულა გენომ და სახლამდის ხმა ეღარ ამოუღია.

ქეთო? ქეთოც სდუმდა, მხოლოთ თავის სახლის კარაპანში ლურსმანს რომ ფეხი წამოჰკრა, საშინლათ დაიღრიჯა და თავის და უნებურათ წაკოიძახა: ოხრათაც დარჩენილა ასეთი ორჭოფი სიცოცხლეო.

— ოღონდაც! ნაღვლიანათ დაუმატა გენომ და ამ სიტყვით მთელი თავისი გულის ნადები გამოხატა.

შეცდომის გასწორება.

№ 37. მოთხრობა ოღონდაც, გვერდი 649, სტრიქონი 9-რე ქვეიდან დაბეჭდილია: —დანაუჟამა ქვე წარმაგვლებმა უნდა იყოს - დანაგუდმა ქვე წარმაგვლებმა. გვერდი 650 შეორე სვეტი მე 10, 11 და 12 სტრიქონი არეკვით არის დაბეჭდილი და ასე უნდა იყოს:—ამ შარშა და ფიქრ ქვეშ მთელი შვიდი-რვა წელიწადი იყიალა ერთ სამაზრო ქალაქის ერთ-ერთ საშუალო სასწავლებელში.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთელისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 18 Сентября 1899 г. Тип. Т. М. Ротиніянца—სტამბა ტ. მ. როტინიანცისა. Год. пр. д. № 41.